DIPLOMAT
GEORGIA

მინდობილობა

ქ. თბილისი 16.10.2019 წელი

წინამდებარე მინდობილობით **შპს „დიპლომატ ჯორჯია“** (ს/კ 204557121) (შემდგომში ,,მარწმუნებელი"), უფლებამოსილი წარმომადგენლების თამარ კოვზირიძისა (პ/ნ 62001009264) და ელენე ქობულაშვილის (პ/ნ 01011056523) სახით, ანიჭებს უფლებამოსილებას **დავით ონიაშვილს** (პ/ნ 59001024482) (შემდგომში ,,რწმუნებული"), წარმოადგინოს მარწმუნებელი მესამე პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში მათ შორის და არა მარტო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრში (შემდგომში „ცენტრი“), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“), ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება მარწმუნებლის საკუთრებაში მიწის ნაკვეთზე ს.კ: 01.19.17.001.044 მშენებლობის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების განსახორციელებლად. უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეიტანოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, საჩივარს, დაზუსტებულ განცხადებას, შენიშვნას, მოთხოვნას, გაასაჩივროს აქტი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები და ასევე ისარგებლოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით , რომელიც არ არის მოხსენიებული ამ მინდობილობაში.

უფლებამოსილების განხორციელების მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

მინდობილობა ძალაშია 2019 წლის 16 ოქტომბრიდან და ძალაშია 1 წლის ვადით.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“
უფლებამოსილი წარმომადგენლები

თამარ კოვზირიძე

ელენე ქობულაშვილი

Diplomat Georgia LLC
Tel +995-32-2919293
Orkhevi Industrial zone,
Isani-Samgori district 0109, Tbilisi, Georgia
Fax +995-32-2919119
www.diplomat.ge
www.diplomat-global.com

YOUR SUCCESS
IS OUR GOAL

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191271880
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.10.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა გოგია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599 932 798 2 76 37 45
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	07669708818319

ორიათასცხრამეტი წლის ჩვიდმეტ ოქტომბერს, მე, ნოტარიუსი ირმა გოგია სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა #14 გავედი მისამართზე: ქალაქი თბილისი, თ. ჩანტლაძის ქ. I შეს # 10, რადგან ხელმომწერი პირები ვერ ახერხებდნენ ჩემს სანოტარო ბიუროში მოსვლას,Mმე გავედი ზ/აღნიშნულ მისამართზე. მათ წარმოადგინეს მინდობილობა და მოითხოვეს ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად თამარ კოვზირიძემ (დაბ: 26.08.1975 წელს, სოხუმში, პ/ნ # 62001009264, საქართველოს მოქალაქის პასპორტი # 16AA12968 რეგისტრირებული მისამართზე: სოხუმი ვ.მაიაკოვსკის ქ. N 13) და ელენე ქობულაშვილმა (დაბ: 16.04.1989 წელს, თბილისში, პ/ნ # 01011056523, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ N შატილი3 კორ. 4 ბ. 23) მომმართეს.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მათ პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

მე განვუმარტე ხელმომწერ პირებს, რომ, ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ მათი ხელმოწერების ნამდვილობას, არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებს, შესაბამისად პასუხს არ აგებს მის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე და არ ეკისრება პასუხისმგებლობა დოკუმენტში ხელმომწერი პირების ნების არაადეკვატური ასახვის გამო.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ერთი ეგზემპლარისთვის - 8.00 ლარი (სულ ოთხი ხელმოწერა), თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, აგრეთვე 20.00 ლარი (სანოტარო მოქმედება შესრულდა სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ), ამავე დადგენილების 34-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლისა, დღგ 5.04 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 35.04 ლარი.

ნოტარიუსი ირმა გოგია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18